ხურების მიმართულებით.

ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ასე თუ ისე
ინახავს 700-მდე საჯარო ბიბლიოთეკას,
საგანმანათლებლო დაწესებულებების
3000-ზე მეტ ბიბლიოთეკას, მეტყველებს
იმაზე, რომ სახელმწიფო დაბალ დონეზე,
მაგრამ მაინც ატარებს ერთგვარ საბიბ-
ლიოთეკო პოლიტიკას, თუმცა არათან-
მიმდევრულს, არაეფექტურსა და არა-
გეგმაზომიერს. საქართველოს კულტუ-
რისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ამ
ბოლო თრომდე საჯარო ბიბლიოთეკებს

გადასცემდა ე. ტ. ვაუჩერების მინიმალურ რაოდენობას, რითაც ბიბლიოთეკები ასევე თუ ისე ახერხდნენ საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას, მაგრამ საერთოდ სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა ხასიათდება არსებითი ხასიათის ნაკალოვანებებით, კერძოდ – საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დარჩენილია საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე სოფლად მომუშავე ბიბლიოთეკების დიდი დიდი ნაწილი იცავს რეტროსპექტულ გამოცემებს, მწყობრიდან გამოვიდა საბავშვო ლიტერატურა, ბიბლიოთეკების დიდი ნაწილში აღარ ნარმოებს ფონდების განახლება. ბიბლიოთეკების ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადაცემამა ერთგვარად დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა ამ დაწესებულებებს, რასაც ისინი მოკლებულნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის
სპეციალური დადგენილებით მუნიციპა-
ლიტეტებში მოქმედი საჯარო ბიბლიოთე-
კები ჩამოყალიბდება, როგორც არასამე-
ნარმეო, არაკომერციული იურიდიული პი-
რები. ბიბლიოთეკებს ყოველთვის სახელმ-
წიფო ინახავდა. ისინი, დღიდან მათი არსე-
ბობისა, მიჩნეული არიან არასამენარმეო
არაკომერციულ დაწესებულებებად. ამ-
ჟამად ქვეყანაში მოქმედი საჯარო ბიბ-
ლიოთეკები იმართება ჰორიზონტალურ
დონეზე მუნიციპალიტეტების გამგებობის
მიერ. 2007-2008 წლების შემდეგ კულტურუ-
რისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ
ფაქტობრივად, დაკარგა ბიბლიოთეკებზე
კონტროლი და უარი თქვა მათ დახმარება
ზე. 2013 წლამდე აღნიშნული სამინისტრო
საჯარო ბიბლიოთეკებს გადასცემდა ე.ნ.
ვაუჩერებს ათას-ათასი ლარის ოდენობით
ამ თანხით ბიბლიოთეკები იძნენდნენ ახალ
გამოცემებს. ამგამად ცენტრალურ ხელი-
სუფლებას ბიბლიოთეკებისთვის თანხების
გამოყოფა შეჩერებული აქვს. ამის გამო
საგრძნობლად დაბალია ბიბლიოთეკებ-
ში ფონდების განახლების მაჩვენებელი.
რაც უარყოფითად აისახება მკითხველთა
მომსახურების ხარისხზე. სახელმწიფო
საბიბლიოთეკო პოლიტიკა რთული სოცი-
ალური ფენომენია. ამ პრობლემას დღეს
არავინ იკვლევს. საქმის გამოსწორების-
თვის საკმარისი არ არის საქართველოს
პარლამენტის საბიბლიოთეკო ასოციაცი-
ის მცდელობა, საჭიროა ამ დარგის მართ-
ვის მოდერნიზაცია, იურიდიული საფუძ-
ვლების შეცვლა, რათა მაქსიმალურად
იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის
საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბ-
ლიოგრაფიული ინტერესი. ის ფაქტი, რომ
საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალი-
ტეტში დაინცეს საჯარო ბიბლიოთეკების
აღდგენა (წყალტუბოს, თიანეთის მუნიცი-
პალიტეტებში), მეტყველებს ადგილობრი-
ვი ხელისუფლების გონივრულ გადაწყვე-
ტილებებზე, მის აღიარებაზე, რომ დღეს
ინფორმაციის საუკუნეში, აუცილებელია
შევინარჩუნოთ და განვავითაროთ საბიბ-
ლიოთეკო სამიანობა.

და გაიცე ციგნი

კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნს. ან
დებულებაზე აღარ დავობენ. ბეჭდური
და ელექტრონული წიგნების არსებობა
მკითხველს აძლევს არჩევანის საშუა-
ლებას. წიგნის კითხვას ბეჭდური სახით
თავისი დადებითი მხარეები აქვს. ნების-
მიერ ბიბლიოთეკაში თანამედროვე მომ-
სახურების დონე ბევრადა დამკიცდებ
ბული კომპიუტერული ტექნოლოგიების
გამოყენების დონეზე. საქართველოში
ამჟამად მოქმედი 4000-მდე სხვადასხ-
ვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკების
აბსოლუტური უმრავლესობა მყითხვე-
ლებს ემსახურება ტრადიციული ფორ-
მებითა და მეთოდებით. კომპიუტერულ
ტექნოლოგიები წელი ტემპით, მაგრან
მაინც იკიდებს ფეხს ბიბლიოთეკებში
მაგრამ ქართულ წიგნს მაინც თავისი ად-
გილი, დანიშნულება და მისია აქვს – იგი
წლების განმავლობაში გვევლინებოდა
ერთს სულიერი ერთიანობასა და გონიერ
რივი სითხიზომის დაუშრავაზე წყაროდა

ქართული წიგნის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ჩვენი ინტელიგენციის ნარ-მომადგენლებს: „ქართული წიგნი ერის ზეობის ბარომეტრია“, – წერდა აკაკი წერეთელი; „ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია“, – აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე: „თუ ჩვენ გვინდა საქართველოს სულიერ აღორძინებაზე ვიზრუნოთ, უპირველეს ყოვლისა, იმ დაუშრეცელ სიბრძნესა და აღფრთოვანების წყაროს უნდა დავვინაფოთ, რომელსაც ქართული წიგნი ჰქვიანა“ – წერდა გ. ქიქოძე 1916 წელს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქართული წიგნის გამოცემას და, მაშასადამე, ბიბლიოთეკებში მათ შეტანას დიდი პრობლემები გამოუჩნდა, ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ხმა აიმაღლა ამ მოვლენის წინაშე. „წიგნს შავი დღე დაუდგა“ – ნერდნენ ქართული წიგნის მოამაგენი, ბიბლიოთეკების თანამდგომი. „წიგნთან მებრძოლი ხელისუფლება“ – გიორგი გიგაური („ასავალ-დასავალი“, 2009, 43). „ჩვენ უფსკრულისკენ მივექანებით და უნდა ვეძებოთ გამოსავალი, უშველოთ ქართულ წიგნს“ – ლ. ნანიტაშვილი („ერი“, 1991, მაისი). გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ჯერ კიდევ 1974 წელს წერდა: „ქართულ წიგნს“ უნდა დავუბრუნოთ მკითხველის თრთოლა და სიყვარული“ (1874, 28 ივნისი). „ვინ კითხულობს დღეს წიგნს?“ – ხშირად გაიგონებთ ასეთ შეკითხვას – დიახ, კითხულობენ (თუმცა, ცოტანი), კითხულობენ ბავშვები, სტუდენტები, დიასახლისები, კითხულობენ პატიმრები, უსინათლოები, კითხულობენ სახლში, ბიბლიოთეკაში, მგზავრობისას. ზეპირად განათლების მიღება შეუძლებელია, მით უმეტეს, მეცნიერული კვლევის ჩატარება. მოსწავლე ახალგაზრდობის გამოკითხულთა დიდი ნაწილი უპირატესობას ანიჭის ბეჭდურ კითხვას.

დღეს ბევრს წერენ ე.წ. „კითხვის კრიზისის“ შესახებ. ეს ფაქტია, მაგრამ წიგნი და ცოდნა ემსახურება ადამიანის სულიერ და ზნეობრივ გაკეთილშობილებას. ადამიანის სულიერ ძალთა განახლება შეუძლებელია კითხვის გარეშე. ქართულმა წიგნმა დიდი როლი უნდა შეასრულოს ეროვნული ენერგიისა და ინტელექტის ახალ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში. წიგნმა უნდა შეავსოს აზრისგან დაცლილი ჩვენი სამყარო. საქართველოში კითხვა-დობის დაბალი დონე შეიძლება მივიჩნიოთ ეროვნულ ტრაგედიად. ქართული წიგნის დიდი ნაწილი დაგანებულია საჯარო ბიბლიოთეკებში. ისინი ყველაზე ღია ტიპის ბიბლიოთეკებია. სწორედ ასეთმა ბიბლიოთეკებმა უნდა შეასრულოს ელექტრონული სარგებლის როლი ინფორმაციულ სამყაროში. ქართული წიგნი წინ უნდა აღუდგეს მასობრივი ინფორმაციის სამუალებებიდან უხვად გადმოღვრილ მოღური სიტყვების კორიანტელს, რომლებიც

ასაგვიანებებებს ქართულ ეხას.
ქართული წიგნი ვერ აღწევს თითოეულ სოფლამდე. ბიბლიოთეკებს შემთხვევით როდი უწიდებენ საზოგადოების კულტურის სიმბოლოს, ერის მეხსიერებას, რომლის გონივრულ მოწყობასა და განვითრებაზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი პროგრესი. დღევანდელ ჟანგნაჭამ ატმოსფეროში, როდესაც უამრავი პოლიტიკური და სოციალური პრობლემის წინაშე ვდგავართ, ქართული წიგნი და შემორჩენილი ბიბლიოთეკები ნათელ სვეტებად უდგანან ქართველი ერის სულორ სხვაობს.

გურამ თაყნიაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფაროსი

წყნარი, წყნარი, წყნარ!

სახლი რუსთაველზე

სკოლას ნელ-ნელა პიონერთა სა-სახლე წამოენია. მართლა სასახლე. აკი, იყო კიდეც მეფისინაცვლის მიერ სასახლედ აშენებული. ყველაფერი ბზინავდა, სარკეებიან დარბაზში მი-მიღეს პიონერთა ორგანიზაციაში და იქვე, დაწყების დღესვე, დასრულდა ჩემი პიონერული „მოლვანერბა“. უფ-რო საინტერესო ის არის, რომ სასახ-ლის თითქმის ყველა წრეში ჩავენერე - ნორჩ ავიატორთა, მანქანათმშენე-

ნიონი“ ჭიქებში ცივი ბორჯომი შუშეუ-ნებდა.

უამრავი ხალხი ბზუოდა წიგნის მა-ლაზიაშიც, რუსთაველისა და ჭავჭა-ვაძის კუთხეში. წიგნის ყველა მოყვა-რულს - და, როგორც აღმოჩნდა, ასე-თები ბლომად იყვნენ - თავი ვალდებუ-ლად მიაჩნდა, პერიოდულად შეევლო მაღაზიაში და იქიდან ხელცარიელი არ გამოსულიყო.

ჩემი სახლიდან სკოლამდე ხუთი კი-ნოთეატრი ფუნქციონირებდა: „სპარტაკი“, „თბილისი“, „რუს-თაველი“, ოფიცერთა სახლი (დე-კა) და ძერუინსკის კლუბი.

ყველაზე დიდი რუსთაველი-სა იყო. ორი შესასვლელი ჰქონ-და, მარცხენა შესასვლელში ერ-თი ელამი ქალი ხევდა ბილეთს კიდევებს. კონტროლიორებთან შეთამაშებულები ვიყავით, ვე-ლაზლანდარავებოდით, განსა-კუთრებით, უფულობის დროს, მაგრამ ელამი დეიდა კატო სხვა იყო. უფროსკლასელებმა გვითხ-რეს ერთხელ, ვაჟა-ფშაველას დასაფლავებას ესწრებოდა. მას შემდეგ, ყველა მონინებით ექცეოდა, თვითონაც თუ თხოვ-დი, არ დაგიკავებდა უკვე მითად ქცეული ამბის მოყოლას: აქვე ვცხოვობ, კინოს უკან, საჯა-როს გვერდით.... ზაფხული იდგა, ცხელოდა. ისე, მთელი ეზო ქა-შუეთისა და ქუჩაც ხალხით იყო გავსილი... მეც იქ ვიდექი, ქუ-ჩის პირას. ვხედამ, ვიღაცა ჩემი ტოლა გოგო მომიდგა გვერდზე. უცნაურათ ჩაცმულ-დახურული, ამოქარული გულისპირით, მზე-მოკიდებული. იდგა ეგრე ქასა-ვით. რა იყო - მეტქი? კითხე.

- ეგ მკვდარი, მამაწემიაონ...
- მერე, აქ რას აკეთებ-მეტქი?
- სოფელში ვიყავი, ამ დილით გავი-გე და პირდაპირ მოყდივარო.
- რა გვარისა ხარ-მეტქი? - არ და-ვუჯერე.

- რაზიკაშვილიო.
- ჰოდა, აქ ვაჟა-ფშაველას ასაფლა-ვებენ-მეტქი.

ვილაცა ხნიერი კაცი იდგა იქვე, ის გამოესარჩილა: ვაჟას ნამდვილი გვარი სწორედ რომ ეგ არიო და თანაც დაძაბა-ხა: გაუშვით, გაატათ, ვაჟას ქალიაო... მეც მივეშველე, გზა მოგვეცით-მეტქი. ხალხიც მიდგა-მოდგა, ჩვენც ვიმარჯ-ვეთ და შევედით ტაძარში. მივედით თუ არა მიცვალებულთან, ეს გოგო ზედ გადაევლო... არ ვიცი, დასამშიდობებ-ლად, ალბათ... მერე არაფერი დამინა-ხავს, ხალხი აიშალა, სტაციეს ხელი ვა-ჟა-ფშაველას და ტაძრიდან გაიტანეს...

მოკლედ, როგორც დეიდა კატო ყვე-ბოდა, ეგ რომ არ ყოფილიყო, ქალიშვი-ლი მამას ვერ გამოეთხოვებოდა.

„სპარტაკა“ და „რუსთაველში“ სე-ანსების დაწყების წინ, მას შემდეგ, რაც „ნასემიჩკარ“ - „ნაბატიბუტარ“ დარ-ბაზს დაალაგებდნენ, ორკესტრი უკ-რავდა თავის სოლისტიანად. ეს ცალკე სანახობა, ცალკე კულტურა იყო. იმ კინოთეატრებში ვნახე თუ რამ საუკე-თესო იყო შექმნილი ქართულ და მსოფ-ლიო ერემატოგრაფიაში.

ახლა ვნახოთ, ვინ იდგა იმ პერი-ოდში რუსთაველისა და ოპერის სცე-ნაზე: ზურაბ ანჯაფარიძე და დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი და მერი ნაკაშიძე, გენიალური ვახტანგ ჭაბუკიანი. გასტროლიორები - ნიკო-

ლაი ხერლია, ელენე ჩერნეი, ვერა და-ვიდოვა, კოზლოვსკი... პლისეცაია, ულანოვა.

რუსთაველში: ხორავა და ვასა-ძე, სერგო ზაქარიაძე, გოგი გეგეჭე-ორი და ეროსი... ყველა კონტროლიორი გვცინდა, უცილეთოდაც გვიშვებდნენ, როცა ფული არ გვქონდა.

ზამთარში განსაკუთრებით ვეტა-ნებიდით თეატრსა და ოპერას, თავს ვაფარებდით შეციებულები. ალბათ, სუსხსა და სიცივეს უნდა ვუმადლოდე, თუ ჩემს მებსიერებას აკაკი ხორავას სრულიად განუმეორებელი ოტელო შე-მორჩა.

მოგვიანებით, სპექტაკლის შემდეგ, უკვე ბალერინებს ვუწყებ ლოდინს ტროლებუსის გაჩერებასთან, მერე ვითომ შემთხვევით დავემზავრები და სახლამდე მივაცილებ.

„გიორგობისთვის“ გადალებაზე ტი-ბაანში ერთმა კახელმა გლეხმა მითხრა: ცხოვრება გრძელია, შენ ჯერ ველი ხარ, აუყვე ამ ცხოვრების მდინარებასა და ყარე აქეთ-იქით ანგესები. რო ჩამა-უყვები, ზოგან ლოქ დაგხვდება, ზო-გან ჭანარი, ზოგან კალმახი, ზოგანაც - არაფერი, მაგრამ, რაც მეტ ანექსს ჩააგდებ, მით მეტ მაიგებო.

მაშინ ასეთი მრჩეველი არ მყოლია, მაგრამ ჩემით მქონდა დაწყებული ან-კესის რიტუალის ათვისება.

იმავე ასაკს უკავშირდება ბახუსთან პირველი გათამაშებაც.

ბიჭებმა ფული შევაგროვეთ და „ინ-ტურისტის“ ქვეშ, რესტორან „ვასტორნი“-ში შევედით.; „ჩიუი-პიუი“ და „8 ნოემბერი“ შევუკვეთეთ. ბევრი არ გვი-დოდა, დავთვერით. ზამთარი იყო. ცი-ოდა. ერთი სული მქონდა, სახლში მივ-სულიყავი, მაგრამ ვერ გავხედე, რიდი მქონდა მშობლების... თუ შიში მამაჩე-მის და იქვე, ალექსანდრეს ბალში, ჩაც-მულ-დახურულმა ნავუძინე. პირველი „პასემილიაც“ ხის ლურჯ სკამზე გამოვ-ცადე. ესეც კაცობაში შესვლის ნიშანი იყო...


მოკლედ, როგორც გითხარით, პირ-ველად ყველაფერი რუსთა-ვებზე მოხდა.

თეატრტილოგადაფარებულ სავარძლებში ვისხედით, - მოსკოვში, „სანდუნების“ აბანოში - მე და იურა როსტი. გვერდით რუსის ჯანმრთელი, ბრგე მოხუცი ემზადებოდა „ორთქლში“ შესასვლელად, ერთი კი შეგვათვალიერა და, „ბიჭებო, ეს ჩემთვის ძალიან ძვირფასი ნივთია, სანამ გა-მოვალ, შემინახეთ“-ო. ხელში ჯიბის საათი ეჭირა, ბაჯალლო იქროსი; მისი ნდობით გაკ-ვირებულებმა საათი დავი-ტოვეთ და, თვალს რომ მიეფა-რა, თვალიერება დავუწყეთ.

საათს საცირმო ნიშანი „პასემილიაც“ და რუსეთის გერბი - ორთავიანი არნივი - ამშენებდა.

მოგონებებში ჩავიძირე.

თუ რუსთაველს ალექ-სანდრე ჭავჭავაძის ქუჩის კუთხიდან ჩემი სახლისკენ გამიუყვებოდი, გზად ჯერ ბა-ლაზია-სალონი შეგხვდებოდა, სადაც თანამედროვე მხატვა-რების ნამუშევრები ჩავიდოდა. მერე აფთიაქი, მერე კი პა-ტარა სახელოსნო დიდი შეგვის ვიტრინით. ყველაფერი ჩანდა, რაც შიგნით ხდებოდა. ხდებო-



გოგი ხარაბაძე


და კი მუდამ ერთი და იგივე: შუახნის მელოტი კაცი, ცალ თვალზე მესათის მონკლით, იჯდა და გაფუჭებული, გადალილი საათების გულისცემას აცოცხლებდა. საათები ხან ემორჩილებოდნენ ისტატს, ხან ისევ დროებით ან მარადიულ ძილს მიეცემოდნენ, სახელოსნოს უზარმაზარი აბრა ამშენებდა წარნერით პაველ ბერე.

იმ დროს 38-მდე შვეიცარული ფირ-მის ფილიალი მოქმედებდა რუსეთში, მაგრამ „ბურე“ ყველაზე მაგარი და პო-ბულარული იყო.

ორთქლიდან გამოსულმა ბრგე რუსმა კი გვითხრა: „მეფის დროს ორ-თქლმავლის მემანქანე ვიყავი. ყველას დავვირიგეს ბურეს საუკეთესო საათები, ზუსტი დრო რომ გვიცოდნოდა და სადგურებში არ დაგვვიანებოდა“.

ამ ფირმის საათს ატარებდა ეკატე-რინებურგში, სიკვდილამდე ნიკოლოზ II, შალიაპინი, სხვათა შორის ლენინც, ოლონდ მას კედელზე ეკიდა. სტალინიც დროს ბურეს ჯიბის ვერცხლის საათით აკონტროლებდა თურმე.

სკოლიდან მომავალი, ჩანთით ხელ-ში, საათობით ვმდგარვარ ვიტრინას-თან და თვალი მიდევნებია დიდი მინის უკან მჯდომი მესათისათვის, რომე-ლიც კარგა ხნის მანძილზე, თავად პა-ვლ ბურე მეგონა...



► გამოწვევება. გემდევნები ნომერი



ოთარ ჯირკვალიშვილი

ლოგიტი

რა სევდიანი გარეგნობა აქვს, უფალო, ლოგინს. ის არის ქვეყნის დემოგრაფიული საყრდენი და ბალანსის წყარო.

ვერ ჩანაცვლებ
კარადით,
კომოდით,
სკამით,
მაგიდით,
გამათბობლით,
მაცივრით,
ტახტით;
წარმოიდგინეთ, ჰამაკსა და ავტომობილსაც არ
შესწევს ამის ძალა!

აი, თუ გნებავთ, დავაკვირდეთ, ეს რა რწევაა,
მე მგონი, უფრო ბაკებს აძინებენ,

სექსისას არ ჰგავს.

სიკედილის დროს და ჩახუჭებისას სტატიკურია (არადა, როგორ მიისწრაფების
მომაკვდავი უძრაობისკენ!),
სიცოცხლისას და ნეტარებისას - დინამიკური.
ლოგინი ძილის შეუცვლელი ატრიბუტია და,
აქედან, კაცობრიობის ფსიქიური კონტროლის
მექანიზმი,

უმაგისოდ შევიშლებოდი!

სიზმარში ვეღარ ავიხდენდით
ცხადში გაცრუებულ სურვილებს
(წარმოიდგინე, სიზმრის ნახვა
როგორი მოუხერხებელი გახდებოდა...),
გაუცხოება, გაუცხოება, თვითმკვლელობამდე
მიმყვანი გაუცხოება!..

ლოგინი საკუთარ თავში ყოფნის ერთადერთი
საშუალებაა -

ისე მკაფიოდ ასაზრდოებს გულს და გონებას,
ციხეებშიც შეიტანეს დამნაშავისთვის
სინდისის გასაღვიძებლად,
რადგან უწყიან, ალიონზე, გაღვიძებისას,
ადამიანი წმინდად გრძნობს თავს და
ეჯავრება ის სიძინძურე, რაც წარსულს ახლდა!
ლოგინში ერთდროულად განისვენებს
სიმშვიდე და მოუსვენრობა,
აქ ხდება შერწყმა დღისა და ღამის
(სულის და მატერიის ერთიანობის ილუზორული
ნამი!),

აქ ხდება ფიქრი სიყვარულზე, ვინმეს „შებმაზე“
ან გულუბრყვილო რცნებები „იმასთან“ სექსზე.
აქ ხდება ფიქრი მკვლელობაზე, თვითმკვლელობაზე,
დანაშაულის ჩადენაზე, მის შედეგებზე!
აქ არ არსებობს აფექტები, უგუნურება,
ნინდაუხედაობა და ა. შ.

აქ მხოლოდ აზროვნებენ, რამეს გეგმავენ,
როგორც ბალზაკის „ნიოლ სასტუმროშია“ და
ამიტომაც აქ ჩადენილი დანაშაული
ძალზე მძიმეა - უპატიებელი თავისი არსით!
აქ გათამაშებული სიკეთე კი უდიდესი ეგოიზმია,
რადგან მხოლოდ ძილში ხდება და მხოლოდ
შენთვის.

ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ჩვენ ჩვენ ვართ, -
ვიცინით, ვტირით, გვიხარია თუ ვნერვიულობთ!..
ჩვენთვის ვართ თბილად თავზე

საბანგადაფარებული,
ჩამალული ბნელ განზრახვებში და
ველოდებით მეორე დღის გათენებას ლოგინთან
ერთად,
რომელთან ურთიერთობაც მხოლოდ ცალხმრივი
შეიძლება იყოს, რადგან ის ვერ გრძნობს
სითბოს,
სიცივეს
(ვერ ხვდება მასზე მიმდინარე ფიქრებს,
განზრახვებს,
სიზრებს და მათში ნანას დიდ აღმოჩენებს,
კაცობრიობის დალუპვა რომ განაპირობეს...)
მოძრაობას თუ უძრაობას...

თავის თავში ჩაკეტილი სტიქია -
საბანგადახდილი (მარტო ადამიანისთვის),
თეთრი ბალიშით,
მუდმივად სხეულის მომლოდინე, თბილის თუ
ცივის -
მხოლოდ სხეულთან ურთიერთობაში საზრისის
მქონე;
კაცობრიობის დემოგრაფიული საყრდენი და
ბალანსის წყარო,
სადაც ცნაურდება სიკვდილ-სიცოცხლის
მარადიული მისტერია.

მისი ერთადერთი ცოდნაა,
სიყვარულნიღაბაფარებულმა
ზუსტად განსაზღვროს, რა რამდენია საჭირო...

სახლი

ამ სახლმა ორი ოჯახის წევრი
მომიკლა უკვე, არადა,
სულ რაღაც ექვს წელია, რაც გადმოვედით.
და კიდევ ორი მეგობარი გამიქრო სადღაც,
რომლებიც ბოლო მკვლელობის შემდეგ
ჩემთან აღარ გამოჩენილან.

მისი კედლები შემოსილია ობიანი
ფოლიანტებით;
ყველა მათგანი ასე იწყება:

„იგი ძევებია ბოროტებასავით
და კედლები, რომლებსაც ვმალავთ,
დამსკდარია ევას გულივით, ცოდვის
სიმიმის მიხედვით. ნუ იცხოვრებ აქ,
თუ ვერ შეძლებ, მის აურას ალღო აუღლო...“

დღემდე ვერ ვხვდები, რა იციან ფოლიანტებმა

სახლის მკვეთრად დამსკდარ კედლებზე,

ვითომ მათ ვეღლა ბოროტება ჩაბნელებული

ნაპრალებიდან გადმოიწერეს?

სახლში ვერაფრით ვერ ხერხდება რემონტი,
თუნდაც

შპალერის უბრალოდ გაკვრა,

ის კი არადა, მტკრის მსუბუქად გადმოწენდაც

არ გამოგივათ!

ვატყობ, რომ იცის ჩემი განზრახვა

გადასვლასთან დაკავშირებით,

რადგან ბოლო დროს რაღაცნაირად

თავს მაცოდებს; ხურავს დარაბებს,

ჩამალულია ჩემში და მიქმის

ექსტაზისმაგვარ ზემყუდროებას,

რასაც ამძაფრებს კედლების ნაპრალებიდან

მონაბერი გრილი ნიავი.

უნდა, რაღაც ცოდნას მაზიაროს,

განსაკუთრებულს,

მაჩვენებს მის ამშენებლებს, რომლებიც

ეტაპობრივად გაუგებარი მიზეზებით იხოცებოდნენ

და ახლა ყველას აჩრდილი - მასში ოდესლაც

ნამყოფი

თუ მასში მცხოვრები -

მისი კედლების ნაპრალებში განისვენებენ...

აქ წყდება ჩემი და სახლის ემოციური
ურთიერთობა.

მეც მინდოდა, ამ პაროდიული ტექსტით,
რომელიც

შუა საუკუნეების ალქიმიკოსის დანერილს
ჰგავს,

რაღაცა ცოდნას ზიარებოდი. ვთქვათ,
თამაშის ცოდნას,
თანამედროვე პოეტების დაცინვის ცოდნას,
ცოტა ირონიას და კიდევ ბევრ რამეს, რასაც
მიხვდები, თუ ჩემს ადგილზე წარმოიდგენ თავს,
რომელიც სახლმა გამოკეტა პოსტმოდერნულ
შიზოფრენიაში,

თუმცა ხვდება: იძულებულია, ტექსტს
ექსპრესიულობა

არ დაუკარგოს და, პათეტიკური აპოგეის
ტრადიციული კანონებიდან გამომდინარე,
ლექსი ასე დაამთავროს:

„...სუროში, საშიშად მივარდნილ კედლებით
ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს:

აქ მკვდრები დაქრიან ზღაპრული რაშებით და
ბედის ეტლებით,
რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს.

დარბაზში ისმოდა:

დომინო!

დომინო!

გამოჩნდა დ ო მ ო ნ ო“.

შეუძლებლობა

შემიყვარდი და არ ვიცი, რატომ,
ვერც იმას ვხვდები, რატომ არ უნდა
შეყვარებოდი,

და ამიტომაც არა ვართ მარტო
ნებისმიერ დროს ნასვლის მყარი

შესაძლებლობით.
არ ვიცი, არის თუ არა ეს დაძაბული თანყოფნა,
როცა სიყვარულს ეუბნები, პურს ამოვიტან და

მან არ იცის, დაპრუნდები თუ არა, ფაქტი
ერთია, ოთხი წელია ასე ვართ და
პური ყოველთვის თავის დროზე ამოგვაქვს
სახლში.

რატომ არის ქარაფშუტული ჩვენი ცხოვრება?
ეს უფრო ბედთან თამაშია ლოგიკური

აქტივობის რაღაც ფარგლებში.

აქ წასვლაც ისევე განიცდება, როგორც
დაპრუნება,

და ჩვენ არ ვიცით,

იქნებ, ორივე ერთდროულად გავიდეთ და
აღარც დაგბრუნდეთ?!

მით უფრო, ერთხელ უკვე მოხდა

მსგავსი რამ,

გასულს სახლიდან გეგონა, რომ გელოდებოდი
(მეც ხომ იმავეს ვიქირობდი შენზე),
ჩვენ კი კვლავ პურის მაღაზიაში შევხვდით

ერთმანეთს -

მოულოდნელად დავადექით დახლის წინ თავზე,

წასვლის სურვილან სექსი გვქონდა



ევზარ კვიტაიშვილი

ამონაშვილი, ჩვენი, რამინი,
გაასვენესო, გუშინ, მორგიდან.

ვერ შეატოკებს გაყინულ მყესებს,
ვერც ვნახავთ ღარიბულად შემოსილს,
სად დაიმარხა, არ ვიცით ესეც –
ძმისწული ბერავ იერემოსი.

გაგლეჯაზეა გული

უკან რას მობრუნდება –
გაფრენილი გავაზი...
მხერხავს ხორხის ხრიალი
რეზო ოჩიგავასი.

ხსოვნას ოხვრად ეხვევა –
ოი, ოი, ოის ხმა...
მწუხარების ხემ, წელსაც
ხვავრიელად მოისხა,
წელში გაშლა და შვება
გველირსება როისლა?!

„ეფემერას“ დღეები
მახსოვს, დავთქვით, დაწესდა;
თავს ვერასდროს მოვიყრით –
ხუტა ყუფარაძესთან.

მეეჭვება, გათავდეს
ჯაჭვი ტანჯვა-გვემათა,
ჩვენი დიტოც, კიკაძე,
იმათვე მიემატა.

ისევ ქარი წახვეტავს,
ქარისავე მოტანილს;
გახსენებაც არ მინდა,
დავრჩით ისე ცოტანი.

გულდასაცყვეტი

მებზარება, შლეგს, გული,
სხვებს – ხორბალი, მე – ბზე...
საბრალო ვარ, მომცდარი –
სისულელებზე!..

მრავლისმომსწრეს, ყომრალი,
დამეცრება წავლი...
თუნდ ცას გამოვეკერო,
ჭკუას ვერ ვისწავლი.

ვინც მეიმედებოდა,
ყველა დამექსაქსა...
ნახირს ვერ ვეგუები,
გამოვნახო რა გზა?!

ფრიალოდან გასაფრენს,
მკლავს ტყვეობა ზაფრის...
ვინ დამწყევლა, ვერ შევძლო –
შეცვლა ველარაფრის.

ზამთრის ეარში
ჭკუა არ მოგცა გამჩენმა,
არც სხვისი დაიჯერე...
წლები რომ შემოგეცლება,
რაღას აპირებ მერე?!

ოცნება ქარმა წაილო,
ფარფატსაც არ გავს პეპლის...
ნაცარში, ფერფლში ეფლობა –
ოხვრა მომნანიებლის.

ბრალია, თოვლის საბურველს
არხევს თებერვლის ბერვა,
უქმად ჩავლალე, ჩავლილის
დამბრუნებელი ვერ ვარ...
წანწალა თვეა – სხვათათვის,
მზე გაანათებს მწვერვალს.

თავი ვერ მივდე ბალიშზე,
დაწენილი ხარ, ძილო...
მომადგა უცილობელი,
რარიგად ავიცილო?!

მართა ათაულის მიარღვევა

ჭაბუა ამირეჯიბს – ბერ დაგითს

მბორგალი, ნაკატორლალი,
გადურჩი ჭლექსაც, კიბოსაც;
თავადვე ამოითუთხა,
ვინც დაგასტუკა, გიბოზა.

თუ მწუხარება აღზევდა,
ბერნიერებაც გასამდეს!
ლვთისკაცო, ვერც კი გაიგებ,
ისე მიატან ასამდე.

როდის მომხდარა, ქებისგან
დაგსხმოდეს ბრუ, ტარაბუა?!
სულ სხვა შენი კურთხევა,
ხელშემართულო ჭაბუა!
მამა ხარ ექვსი შვილისა,
სამი ამდენის ბაბუა...
არწივს ვერაფერს დააკლებს,
ირგვლივ რაც ყვავი და ბუა!

სხვაგან იმყოფებით

(ასმათ ხუციშვილის მოსაგონარი)

იყავით დამა, შესაფერს
ვერსად ვერ შეხვდით ვალეტს...
არ მჯერა, გაქრით – თქვენ მხოლოდ –
ადგილი შეიცვალეთ.

წინდის თვალივით, დღე დღეზე,
თქვენებრ, ვინ გადააბას?
ციცრის წინწელები, ვერცხლისფერს,
თქვენსას ეყარა კაბას...

თავზე გადაგდის მზის ცეცხლი,
მთვარის მიცურავს ბადრო...
თქვენც ასე ჩაისრიალეთ,
ღმერთქალო, მოსანატრო!

აღარაა კაცი

ბნელ კარიბჭესთან მტერი მივიდა,
გწყევლი, საწუთოვ, ავად მყივარო!..
ვეღარ დარეკავ თელ-ავივიდან,
ვერასდროს მეტყვი, ჯემალი გარო.

ძმაო, ცოცხალი იყავი შარშან,
პირი ჩამურე და ჩამერაზე...
თურმე (ვერარებ და ნალველს ვხარშავ)
უკანასკნელად შემხვდი ვერაზე.

სოფალი გალავანი, მცუსარება

ვახტანგ ამირხანაშვილის გასვენებაზე

საყელის, შეკრულს, ვინ მოუბოშებს,
ან გაცილება ვაჟკაცის გვმართებს;
პირმოკუმული წევს და კუბოში
ძლივას ეტევა ბეჭები ფართე.

ჩამოატარეს ეზო ერთხელაც,
თალარს იმისი ემჩნია გარჯა;
ჩამოკიდული, ვებერთელა
მტევნები ყურძნის მოგავდა მარჯანს.

ცალისობის შამიც დადგა

ნითლად წიფინებს უამი მწიფობის,
მეცემა დაღლილს, ჩრდილი მაღლართა;
გონარეული, შუა ვიპობი,
რად ქნა, ვინც გზები ჩემი დახლართა.

არ შეეშლება ბუნებას ფერი,
სიცხეს ელოდნენ კვლავაც კვირისთვის...
ყანაში უკვე ქვითქვითებს მწყერი,
აგვისტოს მისი მოაქვს გვირისტი.

ნააღრევად გინდდება

ოდას კრამიტი და
ეზოს შეგინის ღობე;
ვწვავ კუდმოკლე ღლეებს,
უფლის ნაწყალობევს.

შევეჩივე წუხილს,
შემეჩვა დაღლა,
შეღამებას, ვიცი,
რა მოწყენაც ახლავს.

გამეცლება, წავა,
რასაც შევეთვისე,
სიბერემ არც მკითხა,
მოჩანჩალდა ისე.

ჩალისფერი ჭარბობს,
გული ამიტირდა...
შემოდგომის წვიმა
წვეთავს კრამიტიდან.

საგადლოდ გაგისენის

არაფერს ცვლის წასვლა შენი,
არც რას ვხედავ საშიშს;
სანახევროდ – მიწაში ხარ,
სანახევროდ – ცაში.

სიგარეტს ვერ გააბოლებ,
არც დაგცდება კვნესა;
რომ იყავი, იმაზედაც
არ ხარ უარესად.


ვეღარავის მიწვდეს შენი
ბოხი ხმა და ზარი...
ის გროშებიც არ გექნება
სათხოვ-საშოვარი.

შესანდობარს, შენსას, მცირეს,
სხვა სუფრაზე სვამენ...
რაღასათვის დაგეცადა,
საცოდავო რამინ!

არრა გინდა, რას დაგაკლებს –
ბოროტება, შური...
ავიშალეთ, სად მეჩხერი
ტყეა წინამურის.

მოისვენა

დატოვა სოფლის მან სიამენი,
დაყარა ჯაჭვი რკინის ბორკილთა.



၃၁၂၁၇ ခေမြန်မာ့၏

ବେଳ ଡାକଖାତ୍ରିକାରୀ

რაღაც ზეციურს, არ ამქვეყნიურს,
თითქოს ჩავნვდი და თითქოს ვერც ჩავნვდი....
მსურს დავუჯერო შენს თვალებს ღვთიურს,
რომ მიმიყვანობ აღტაცებამდის...
არ გაღარიბდე, არ გაღარიბდე...
მარჯნის რიფები ისე მყიფეა...
ამ თოვლს და ყინულს მალე აიღებს
და ალუბლებიც, მგონი, მწიფეა...
მართლაც, არა ღირს უკან ყურება,
უკან რთულია, ვერ დაბრუნდები...
იყო ომებით განადგურება
და საქართველოს ედო ხუნდები...
ახლა სხვა დროა, ვიცი, აისებს
სურთ ჩვენს გულებმიც შემოალწიონ...
გადავუკეტე მე სული ნისლებს
და ფრთები მინდა, რომ ვიარწივო...

სად წავიდა ჩემი მუზა,
სად წავიდა საყვარელი...
ნუთუ, მართლაც სულ სხვა უყვარს,
სულ სხვას ატკბობს მისი ყელი...
ვცდილობ, მაგრამ ჯერ ვერაფრით,
გულიდან ვერ ამოვიღე...
ვეძებ თოფით, ვეძებ სანთლით,
ლამის ჭერი ჩამოვიღე...

ଶାତ୍ରୀ ଓ କୋର୍ଟରେ ଶାତ୍ରୀଙ୍କ ପରିଚୟ

სადაცაა ჩიეშვება
ცეცხლოვანი დისკო ზღვაში...
არ მიმტყუნოს ნეტა ფრთებმა
სიყვარულის ამ თავსხმაში....
შავი ცხენი, შავფლოქვება,
შავ ზღვას შავი მკერდით აპობს...
რა მოხდება, რა მოხდება,
ზღვის ნაპირას დაგინახო...
დაგწვდე, წელი მომაშველო,
ზურგს მიწვავდეს შენი მკერდი...
ჯვარედინად რომ დავსერო,
ზღვის სხეული ვერცხლისებრი...
შენს თეთრ კანზე ცხელი ხელი,
ცხელ თითებით ვასრიალო,
ცას ავხადო სროლით ჭერი
და დედოფლად გალიარო!!!

ପ୍ରକାଶକ

କୁପ୍ରି, ହେମସାଙ୍ଗିତ ଗାନ୍ଧିତ୍ତାଦି ତ୍ରୁଟିକିଲ୍ସ,
ଅଫର୍ଜ ଅଲ୍ପର୍ସି ରମ୍ବ ଆୟୁର୍ହିତ୍ତାଦା...
ମଦିନାରୀଳି ପିରାଶ ନାକ୍ଷତ୍ରେଶ୍ଵର ତ୍ରିରିତ୍ସ,
ନ୍ୟାଲି ମରମତିଶର୍କ୍ୟାଲ ପ୍ଲାନରତ୍ତାନ ଉତ୍ସବା...
ତ୍ର୍ୟିପୁସ ଗାନ୍ଧିନ୍ଦାରୀଙ୍କ ଉକ୍ତବେ ଦାୟଦର ତରତ୍ତାକିଲ୍ୟ
ଦା କିଲ୍-ଲୋକିନ୍ଦିଲିତ ତତ୍ତ୍ଵାଲ୍ୟମଦନ୍ତ୍ରେ ତ୍ରୁତ୍ୟାଦି...
ମିନ୍ଦାଶ ଆକରତାଦା ନାମତରିଶ ଲୋଦିନ୍ବି,
ଗାୟକିତାଲ୍ୟଦା ହିଂଲେବ୍ଦି ଲେଣିବ୍ଦି...
ଶର୍ମିଶ, ତେବରିଥିନ୍ଦିତ୍ତିଶ୍ଚ, ନାଲ୍ବଲିବାନ ମତତାର୍ଗେ
ହିନ୍ଦିତାଲ୍ୟଦା କ୍ଷେତ୍ରନିଃନ୍ଦା ତତ୍ତ୍ଵାଲ୍ୟଦି...
ନିଦିନ୍ଦନ୍ତ କାଳଦେଖି ପିଲ୍ଲ ମଦ୍ଦିମାର୍ଗେ,
ରମ୍ବଗର୍ବିତ ଦାନଗର୍ବାଲ ଶାହଦରିଶ ଶାର୍କିବ୍ଦି...

ჩამოდიოდა, ჩამოდიოდა,
ცოცვით მთებიდან ზამთრის ნისლები...
მყინვარს ჩემსავით გული სტკიოდა
და კლდის ტინებზე ეკვნო სისხლები...

30365

მე შენი კოცნა ისე ვიგრძენი,
როგორც მიწა გრძობს მზის სიმხურვალეს...
იცი, ვიბინევი, როცა მიცქერი,
როცა მიცქერი ასე მწუხარედ...
კი, შემიძლია დაგემშვიდობო,
მაგრამ ხომ ვიცი, რომ გენყინება...
შენ შეგიძლია სულ სხვა იპოვო,
ვინც სამუდამოდ შენი იქნება...
შენს ბალჩაში ვარდი ხარობს,
ჩემს ბალჩაში – იები...
გელალატა, თუნდაც კარგო,
მაინც გაპატიებდი...
არ მატკინო, არ მატკინო
გული, ისეც მკვდარია...
ვიცი, ჩემგან გაცლას ცდილობ,
მაგრამ, არ გიხარია...

ၧၦ, ၧၬ၄

გადმოხეთქა, გადმოხეთქა,
 ამ მკერდიდან ცხელმა ლავამ...
 თუკი ზედ არ შემომხედავ,
 როგორც მოველ, ისე წავალ...
 მე კი, მე კი უნებურად,
 ვერ გაცილებ მაინც თვალებს...
 გიყურებ და გულსა ვწურავ,
 ქრება სისხლი, მონანწკარებს...
 და მოველი კატასტროფებს,
 მანყობს, მანყობს ახლა მსხვევა...
 ყორანივით ვჯიჯგნი სტროფებს...
 შემოდგომის მესმის ხველა...
 ყველა სცოდავს, ყველა სცოდავს,
 შენ მგონი ხარ უცოდველი...
 ვახრჩობ, ვახრჩობ მე შენს ტრფობას,
 ვგუდავ, როგორც შვლის ნუკრს გველი...

ნუ იხუმრებ სიყვარულზე,
თუ მე სადმე ახლოს ვდგავარ..
სხვა რამეზე ისაუპრე,
რასაც ფიქრობ, ნუ დამალავ...
ბოროტია კაცთა მოდგმა,
ლომებს სვამენ გალიაში...
ცის კიდურზე მზე გადმოდგა
და ჩემს სახეს უმზერს წაშლილ...
მიმზერს, მიმზერს და შენს ნაცვლად,
მზეს ვიცი, რომ ვენანები...
ასე ვარდი ბულბულს თაფლავს
და ბულბულიც გალობს გზნებით...
დაიფარე, დაიფარე,
შენი ძუძუ სადეკოლტე...
და თუ მთებში ირმებს კლავენ,
მი შენი, მეროთზი მიწა მოვაკოვა...

ស៊ីអូ

ბედი შეგვყრის, ბედი გაგვყრის,
დღო წაყაყრის ხსოვნას ნამქერს...
ბედთან ხვეწნა-თხოვნა არ ჭრის,
ვერც მოუგებ, ვერც დაასხრებ...
ვუცდი, ვუცდი, მეც ბედს ვუცდი,
არ მსურს გვერდით ჩამიქროლოს...
მომაყაროს, რაც მეკუთვნის...
ჩამითრიოს, ჩამიყოლოს...
ამოხეთქილ ვაზის ყლორტებს,
ცრემლი დასდის ნაკადულად...
ნეტა, იმის ბედი მქონდეს,
შენი ხვავხით ოძირჩულა...

ରୂ ପାଇଁ ପରିବହନ

მინდა მქონდეს, მინდა მქონდეს,
ზღვების ძალა, გველის სისხლი...
ვერ მათობდეს, ვერ მათობდეს,
ბაგე თაფლის, თმები გიშრის...

რა ქარი ქრის შენი მხრიდან,
რა მიზეზი გასჩენია...
ადიდებულ ზღვასთან მინდა,
სადაც სევდა დაგრჩენია...
სადაც ყოველ გაზაფხულზე
იმედების ნერგი ხარობს...
შენ რომ ასე ცივად უმზერ,
და არა გსურს შეიფარო...
ისევ მოვა შემოდგომა,
გააცილებს ზაფხულს ცივად...
მე სულ შენი დარდი მქონდა,
შენ კი, ნეტა, რა გეწყინა...

ნუ განიცემი

(მანანა ელიაშვილს)

ნუ განიცდი, შენ ნურაფერს,
ნუ განიცდი, ნუ განიცდი...
ჩვენ ყველაზე ბოლოს ვამჩნევთ,
მათ, ვინც ჩვენთვის ჩუმად იწვის...
ჩვენ ყველაზე ბოლოს ვამჩნევთ,
შეყვარებულს ჩვენზე თვალებს,
უკვე, როცა ვეღარ ვასწრებთ,
ვეღარაფერს, ვეღარაფერს...
ხელი მომეც, შენს მხარს მინდა
ორი წამით ჩამოვეყრდნო,
შენი სულის სანთლებიდან
შენი ცეცხლი გადმომედო...
ნუ განიცდი, ნუ განიცდი,
ჩემს პოვნას და ჩემს დაკარგვას...
მთვარე ვენებს გადაიხსნის,
ყოველ ღამეს თუ ვერ მნახავს...
ყოველ ღამეს, ყოველ ღამეს,
მთვარის შუქზე მოდი ჩემთან,
რომ ვუმზირო შენს მშვიდ თვალებ
შენი ხელი მქონდეს მკერდთან...

მეც ვუყვარდი, ალბათ, ერთ დროს...

როგორც ნუკრმა, მტაცებლისგან გაქცეულმა,
ჩემს ხმელ ფოთლებს შეაფარე ფრთხილად თავი,
მე კი მუხამ, სიბერისგან წაქცეულმა,
შეგიფარე, ვერაფერი ვერ გითხარი.
შემიყვარდი, ნუკრი იყავ და რა მექნა?
შემორჩენილ ფესვით ნაჟურს განწოვებდი...
იმ წამს მიგხვდი, რომ ცა თავზე ჩამომექუა,
რომ ცისკრისას უეჭველად დამტოვებდი...
ჩაგეძინა, ფესვით ჩუმად მოგეფერე,
შეშინებულს თვალი წამსვე გაგეხილა,
რაღა დარჩა, სიკვდილია ამის მერე,
როგორ მსურდა, ეს, შენთვისაც გამემხილა...
მეც ვუყვარდი, მეც ვუყვარდი, ალბათ, ერთ
დროს,
ტყეში ხეებს ასკვდებოდა მთვრალი ქარი...
და ვკვდებოდი, მე ვკვდებოდი უნუგეშოდ,
შენ ბრძა ტყვია იყავი და ვერ გითხარი...

୨୦୧୯୮୧

ასე მგონია, რომ ვესწრები სამყაროს შექმნას,
რომ ღმერთს ერთ ხმაში უგალობენ სირინოზები...
ვუცქერი მიწას, როგორც გული, როგორა
ფეთქავს,
როგორ ლივლივებს ცის ნათელში ღმერთის
ლოცვები...
ჯერ წყალი გაჩნდა, მერე მიწა, მერე ჰაერი,
ბოლოს კი ცეცხლმა მთელი მიწა ალით დაფარა...
ისიც ვიხილე, როგორ კლავდა აბელს კაენი,
და ვაშლიც ევას გველმა ფრთხილად რომ შეაპარა...
ვიხილე, ღმერთძა ხელის გულზე როგორ

მოფანტა...
და მზის სხივები ყველა მხარეს როგორ მოფანტა...
ვიხილე, მთვარე სიყვარულით მზეს რომ კოცნიდა
და პაემანზე რომ წავიდა მუზა მოცარტთან...
ისიც ვიხილე, ღმერთმა ხელი რომ ჩაიქნია
და ქარიშხლებმა ზეცას როგორ
გადაუფრინეს...
ვნახე, ლაშქრები ომის ველზე როგორ მიჰქრიან,
როგორ გაეკრა ქრისტე ჯვარზე, ვნახე, ვუცქირე...
და ვნახე ისიც, როგორ გაჩნდა დილით აისი,
მერე კი, მგონი, გაზაფხულმა თვალიც
ჩამიკრა...
ჰოდა, მადლობა მოვუხადე ცას სიზმარისთვის
და ფეხაკრეფით გამოვედი ამ სიზმარიდან..

ხორხის ლუის ბორხესი



მაშ, გინდა მიცვალებულ ფრანსისკო რეალზე გიამბო? გავიცანი იყო. თუმცა ჩვენებური არ იყო, უფრო ჩრდილოეთი დაქეტებოდა ხოლმე, გუადალუპეს ტბისა და ბატერიის მიდამოებში. სულ სამჯერ ვნახე, ისიც ერთი ღამის განმავლობაში, მაგრამ ეს ის ღამე იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება, იმიტომ, რომ იმ ღამეს ლუხანერა თავისი ფეხით მოვიდა და ჩემს რანჩოში დაიძინა, როსენდონ ხუარესმა კი სამუდამოდ დატოვა აროიო. თქვენ, რა თქმა უნდა, მისი სახელი არ გეცოდინებათ, მაგრამ როსენდონ ხუარესი, მეტსახელად „დამრტყმელი“, იმათვანი იყო, ვინც ყველაზე თამამად დააბიჯებდა სანტა-რიტას უბანში. დანის ხმარებით განთქმული, იგი ნიკოლას პარედესი კაცი გახლდათ, პერედესი კი – მორელის ერთ-ერთი კაცთაგანი. როსენდონ კოხტად ჩაცმული გამოჩნდებოდა ხოლმე დუქანში, შავებში გამოწყობილი, ვერცხლისასაკაულებიანი. კაცები და ძალები პატივს სცემდნენ, გოგოებიც; ყველამ იცოდა, რომ მის სინდისზე ორი მკვლელობა იყო. მაღალი, თხელფარფლებიანი ჩამბერგო¹ ეხურა ხოლმე, გაქრინილ ფაფარს რომ უფარავდა. როგორც იტყვიან, ბედი სწყალობდა. უნის ბიჭები გადაფურთხებაშიც კი ვპატავდით. მიუხედავად ამისა, ერთმა ღამემ დაგვანახა, ვინც იყო იგი სინამდვილეში.

ზღაპარს ჰეგავს, მაგრამ იშვიათი ღამის ამბავი დაიწყო კაცებით გაჭედილი ფერადონბლებიანი ფურგონით, რომელიც გაქვავებულტალახიანი ოლროჩოლო შუკებით მოჯაყჯაყებდა აგურის ღუმელებსა და ორმოებს შორის. ორი, შავებში ჩაცმული გიტარებზე უკრავდა და იქაურობას იკლებდა. კოფოზე მჯდომარებლას უქნევდა ძალებს, რომელიც გზაზე ელობებოდნენ შავ ცხენს, შუაში კი პონჩომი² გახვეული კაცი იჯდა. ეს იყო განთქმული კორალერო. კაცი საჩუბრად და მოსაკლავად მოსულიყო. გრილი ღამე იდგა, ნამდვილი ცხონება. ორიც ფურგონის გადახდილ სახურავზე იჯდა.

ამით დაიწყო იმ ღამის ამბები, მაგრამ ეს მერე გავიგეთ. ბიჭები კაი ხნის შეკრებილები ვიყავით ხულიას სალონში, რომელიც თუთიის ფურცლებისგან აგებულ ბარაკს წარმოადგენდა და გაუნას გზასა და მალდონადოს შორის იდგა. ამ შენობას შორიდანვე შენიშნავდით ჩოჩქოლისა და უტიფარი ფარნის გამო, ირგვლივ რომ ანათებდა. ხულია უბრალი ქალი გახლდათ, მაგრამ საქმე ჰქონდა ანუბილი, ასე რომ, არც მუსიკოსები აკლდა, არც კარგი სასმელი, არც გოგოები, რომელიც ცეკვით არ იღებდა. როგორიც უნიკატი არც კი იგერიებდა, სილებით უმასპინძლებოდნენ და ჩალინას ფოჩებს ურტყმადნენ, თითქოს ამასხარავებდნენ. ეგრევე ეტყობოდა, მას როსენდოსთვის ინახავდნენ, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში გაუნდრევლად იდგა დარბაზის სილრმეში კედელს მიყრდნობილი და ხმას არ იღებდა, აჩეარებით ქარივდა თავის სიგარეტს, თითქოს გრძნობდა იმის მოახლოებას, რაც ცოტა ხანში ყველამ ცხადად ვისილეთ. კორალერო მუჯლუგუნების კვრით მიუყვანეს, მტკიცე და გასისხლიანებული, ზურგს უკან ბრძო რომ ედგა. ასე სტენით, მასხრობით, ფურცლებით გარშემორტყმული წარდგა როსენდოს ნინაშე.

პექნდა! ძილს დაგაკარგვინებდათ მისი ხილვა.

სასმელი, მილონგა,³ ქალები, როსენდოს დაყვავებით შეგინება, მხარზე რომ დამარტყამდა ხელს ყველას დასანახად, რასაც მეგობრობის გამოვლინებად ვიღებდი – ყველაფერი ეს ჩემთვის ბედნიერება იყო. ცეკვაში ძალიან დამყოლი ქალი შემხვდა, ნინასწარ ხვდებოდა ჩემს მოძრაობებს. ტანგო თავის ნებაზე გვათამაშებდა და გვატრიალებდა, აგვრევდა და ისევ გვაწერი გვეგებდა. ამგვარ გართობაში იყო ხალხი, როცა უეცრად მომეჩვენა, თითქოს მუსიკა გაძლიერდა. მას უერთდებოდა ფურგონით მომავალ მეგიტარეთა ხმები, სულ უფრო რომ ახლოვდებოდა. შემდეგ ნიავმა, რომელმაც ეს ხმები მოიტანა, მიმართულება შეიცვალა და მეც

შეხედა, ხელუკულმა გადაიწმინდა სახე და ასე უთხრა:

– მე ვარ ფრანსისკო რეალი, ჩიდილოეთიდან. მე ის ფრანსისკო რეალი ვარ, კორალეროს რომ ეძახია. ამ საცოდავებს, ხელი რომ ალმართეს ჩემზე, მოვუთმინე, რადგან ერთ კაცს ვეძებ. იქ, ჩვენში, ხმები დადინი, რომელმა თქვენიანმა, მეტსახელად „დამრტყმელმა“, დანის კარგი ხმარება იცის. მინდა შევხვდე, დამიმტკიცოს, რომ არ ვარგვარ და მაჩვენოს, რა არის ნამდვილი ვაჟკაცი.

ესა თქვა და თვალი თვალში გაუყარა. ამჯერად მარჯვენა ხელში დიდი დანა ულაპლაპებდა, რომელიც აქამდე სახელოში ჰქონდა შემალული. ვინც აქამდე უჯიკავებდა, ნელ-ნელა განზე გადგა და ჩამოვარდნილ სიჩუმეში ყველანი იმ

კაცი ვარდისფერი შესახვავიდან

ეძღვნება ენრიკე ამორიმს

ორს ვუცქერდით. უსინათლო მევიოლინებულად მულადსაც კი იქითკენ მიებრუნებინა სახე.

ამ დროს ჩვენ უკან ჩოჩქოლი ატყდა და კარში ექვსი თუ შვიდი კაცი დავინახე, კორალეროსთან ერთად რომ ჩამოსულიყენენ. ყველაზე მოხუცი, სოფლური გარეგნობის, გარუჯული, ჭალარაულვაშიანი დანინაურდა და ამდენი ქალისა და კაშკაშა შუქის დანახვაზე ერთ აღგილას გახვედა, შემდეგ პატივისცემის ნიშნა ქუდი მოიხადა. დანარჩენები შორიდან იყურებოდნენ ჩასარევად გამზადებული, თუკი უპატიოსნოსნო ნიშნა ქუდი მოიხადა. დანარჩენები შორიდან იყურებოდნენ ჩასარევად გამზადებული, თუკი უპატიოსნოსნო თამაში წავიდოდა.

რას აკეთებდა ამასობაში როსენდო, რომელსაც აქამდე ფეხებით არ გაუთლავს და არ გაუგდია ეს თავხედი? ისევ გაჩუმებული და თვალებდახერილი იდგა. სიგარეტი გადააფურთხოთა, ან, შეიძლება, გაუვარდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეძლო რამდენიმე სიტყვის თქმა, მაგრამ ისე ძლივს ლულულულებდა, ვინც დარბაზის მეორე ბოლოში ვიდექით, ვერაფერი გავიგონეთ. ფრანსისკო რეალმა კვლავ გამოიწვია იგი და მან ისევ იუარა. მაშინ უცხომოსულთაგან ყველაზე ყმან-ვილმა დაუსტვინა. ლუხანერამ მას სიძულვილით შეხედა, მუჯლუგუნებით გაიკაფა გზა მეურმებისა და მეძავების ბრძოში, თავის კაცთან მივიდა, ხელი უბეში ჩაუყო, გაშიშვლებული დანა ამოულო, ხელში მიაჩერა და უთხრა:

– როსენდო, მგონი, ეს გჭირდება.

ჭერის სიმაღლეზე მოგრძო სარკმელი იყო, რომელიც დელეს დაპულებდა. როსენდომ დანა ორი ხელით გამოართვა და ისე დააცქერდა, თითქოს პირველად ხედავსო. უეცრად უკან გადაიხარა და პირდაპირ სარკმელში მოისროლა იგი, რომელიც მთელი დარბაზით თავიდან ბოლომდე ერთისტესავით გაატარეს. სცემდნენ, უსტვენებული, აფურთხებული და გადამდებარებული გამოისახოს და მარჯვენა და ასე უთხრა:

– ფრანსის შემდეგ გავიფიქრე, არა-მეტე, რაც უფრო მივარდნილ უბანში ცხოვრობ, მით მეტად გმართებს, იყო ლამაზი. ნაგავიო? მილონგა გრიალებდა სახლებში და ქარს მაღავრულობით ვიყარდო. რა უნდა გამოსულიყო ამ ნაგვიდან, თუ არა ჩვენ – მყირალები და ყოყორჩები, მაგრამ რბილები და უკარგისები ვინებს დასასჯელად. შემდეგ გავიფიქრე, არა-მეტე, რაც უფრო მივარდნილ უბანში ცხოვრობ, მით მეტად გმართებს, იყო ლამაზი. ნაგავიო? მილონგა გრიალებდა სახლებში და ქარს მაღავრულობით ვიყარდო. რა უნდა გამოსულიყო ამ ნაგვიდან, თუ არა ჩვენ – მყირალები და ყოყორჩები, მაგრამ რბილები და უკარგისები ვინებს დასასჯელად. შემდეგ გავიფიქრე, არა-მეტე, რაც უფრო მივარდნილ უბანში ცხოვრობ, მით მეტად გმართებს, იყო ლამაზი. ნაგავიო? მილონგა გრიალებდა სახლებში და ქარს მაღავრულობით ვიყარდო. რა უნდა გამოსულიყო ამ ნაგვიდან, თუ არა ჩვენ – მყირალები და ყოყორჩები, მაგრამ რბილები და უკარგისები ვინებს დასასჯელად. შემდეგ გავიფიქრე, არა-მეტე, რაც უფრო მივარდნილ უბანში ცხოვრობ, მით მეტად გმართებს, იყო ლამაზი. ნაგავიო? მილონგა გრიალებდა სახლებში და ქარს მაღავრულობით ვიყარდო. რა უნდა გამოსულიყო ამ ნაგვიდან, თუ არა ჩვენ – მყირალები და ყოყორჩები, მაგრამ რბილები და უკარგისები ვინებს დასასჯელად. შემდეგ გავიფიქრე, არა-მეტე, რაც უფრო მივარდნილ უბანში ცხოვრობ, მით მეტად გმართებს, იყო ლამაზი. ნაგავიო? მილონგა გრიალებდა სახლებში და ქარს მაღავრულობით ვიყარდო. რა უნდა გამოსულიყო ამ ნაგვიდან, თუ არა ჩვენ – მყირალები და ყოყორჩები, მაგრამ რბილები და უკარგისები ვინებს დასასჯელად. შემდეგ გავიფიქრე, არა-მეტე, რაც უფრო მივარდნილ უბანში ცხოვრობ, მით მეტად გმართებს, იყო ლამაზი. ნაგავიო? მილონგა გრიალებდა სახლებში და ქარს მაღავრულობით ვიყარდო. რა უნდა გამოსულიყო ამ ნაგვიდან, თუ არა ჩვენ – მყირალები და ყოყორჩები, მაგრამ რბილები და უკარგისები ვინებს დასასჯელად. შემდეგ გავიფიქრე, არა-მეტე, რაც უფრო მივარდნილ უბანში ცხოვრობ, მით

